საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №07/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 12 იანვრის №-- საჩივრისა და 2018 წლის 07 თებერვლის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 12 სექტემბრის №07/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) წარმოებაში იმყოფებოდა -- --, -- -- და სხვათა მიმართ სს საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილ საჩივრებში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. 2017 წლის 05 მაისის სასამართლო სხდომაზე, საქმეში წარდგენილი 1400 მოწმიდან, სასამართლომ მხოლოდ 60 მოწმე დაკითხა და განაცხადა, რომ მეტ მოწმეს იგი არ დაკითხავდა.

1.2. საქმეში წარდგენილი იყო ბრალდებულთა მცირეწლოვანი (7 თვის; 2-3 წლის) შვილების დაბადების მოწმობები. ასევე სასამართლო სხდომებზეც, საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლის შესაბამისად, დაცვის მხარემ არაერთხელ სთხოვა მოსამართლეს, განაჩენის გამოტანის შემდგომ ეზრუნა მათ შვილებზე. მომჩივნის განმარტებით, აღნიშნული სასამართლომ

რეაგირების გარეშე დატოვა. შედეგად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ვინაიდან, მათ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, უმეთვალყურეოდ დარჩა მცირეწლოვანი ბავშვები. მომჩივანი დამატებით მიუთითებს, რომ სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა დაცვის მხარის თხოვნა, მიეღო შესაბამისი საპროცესო ღონისძიებები, უპატრონოდ დარჩენილი მათი მრავალმილიონიანი ქონების დასაცავად.

1.3. 2017 წლის 31 ივლისის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარეს სურდა შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის, მოსამართლის აცილების თაობაზე, თუმცა, აღნიშნულის შესაძლებლობა მათ მოსამართლემ არ მისცა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 31 ივლისის განაჩენით:

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2016 წლის 16 დეკემბრიდან.

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 07 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2016 წლის 31 ივლისიდან.

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში, რისთვისაც, სასჯელად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2016 წლის 16 დეკემბრიდან.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე (მოსამართლე -- --), 2017 წლის 18 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოწმის დაკითხვის პროცესში სასამართლომ მიმართა მხარეებს:

- მე ერთი პატარა განცხადება მინდა გავაკეთო, სასამართლო ნამდვილად არ აპირებს 1700 ადამიანის დაკითხვას, ამაზე გადაწყვეტილებას მხარეები მიიღებენ გონივრულს, იმიტომ რომ კანონი არ თვლის სავალდებულოს ყველა დაიკითხოს და ამ კანონს მე ნამდვილად ვერ ვასწავლი მხარეებს, ძალიან მშვენივრად იციან და თავად გამოიყენებენ ამის თაობაზე. ესე რომ მაგის მოლოდინი არც, თქვენ გქონდეთ დაზარალებულებს, არც მხარეებს. კანონი იძლევა საშუალებას, რომ ჩვენ კანონიერად განვიხილოთ და გამოვიკვლიოთ რაღაც საკითხები. შესაბამისად, ეს არის ელემენტარული პროცესი და დაზარალებულს უნდა განვუმარტოთ და ბრალდების ვალდებულებაა მათი უფლება გააცნონ და იმ უფლებებში, 57-ე მუხლში ზუსტად წერია თქვენ რა შესაძლებლობები გაგაჩნიათ და მაგისთვის ნუ ინერვიულებთ და ასეთ ფატალურ შედეგამდე ნუ მიხვალთ.

დაცვის მხარის ადვოკატი - თქვენო ღირსებავ, მეც გავაკეთებ განცხადებას. ძალიან გთხოვთ ნუ გამოვა ისე რომ 1400 კაცი იქნება ჩემი მტერი. აქ არიან ჩემი დედისხელა, ჩემი ასაკის და ასევე ბებიისხელა ადამიანები და ნუ დამაპირისპირებთ... უბრალოდ ყველაფერს სწორი შეფასება მივცეთ, ადამიანმა რომ არ იცის სამართალწარმოებად ღრმად, ნუ გამოვა ისე, რომ მე ვიღაცის ხელში რაღაცად გადავიქცე... მაპატიეთ, ნამდვილად მაქვს სამართლებრივი იმდენი განათლება პირდაპირ განვაცხადო თქვენო ღირსებავ, ძალიან დიდი ბოდიში, ძალიან დიდ პატივს გცემთ, მაგრამ აქ ნამდვილად არ წყვეტთ თქვენ 2300 კაცს დავკითხავთ თუ 1700, ამას ჩვენ ვწყვეტთ ბრალდების მხარესთან ერთად, ბოდიში, მაპატიეთ.

მოსამართლე - ბატონო ადვოკატო, სასამართლოს განცხადება გაიგეთ სწორად, სასამართლო არ წყვეტს, მაგრამ თქვენ გადაწყვეტთ გონივრულად.

ადვოკატი - ეს თქვენ მტკიცებით ფორმაში თქვით, რომ არავის არ ეგონოს, რომ 1700 კაცს დავკითხავ, თქვენ შეხვედით ბრალდების და დაცვის მხარის პრეროგატივაში, თუ ესე არაა ვთქვათ.

მოსამართლე - ბატონო გასაგებია თქვენი ემოციები, დამშვიდდით.

მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით, მომჩივანი აღნიშნავს, რომ 2017 წლის 05 მაისის სასამართლო სხდომაზე, საქმეში წარდგენილი 1400 მოწმიდან, სასამართლომ მხოლოდ 60 მოწმე დაკითხა და განაცხადა, რომ მეტ მოწმეს იგი არ დაკითხავდა.

საკითხზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ-ის 242-ე მუხლის თანახმად, დადგენილია მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არსებით სასამართლო სხდომაზე გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობასა და მოცულობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე.

შესაბამისად, სასამართლოს თავდაპირველი განმარტება „სასამართლო ნამდვილად არ აპირებს 1700 ადამიანის დაკითხვას“ წინააღმდეგობრივია მითითებულ საპროცესო დანაწესთან, ვინაიდან როგორც აღინიშნა, დასაშვებ მტკიცებულებათა ფარგლებში, მტკიცებულებათა მოცემულობას განსაზღვრავენ მხოლოდ მხარეები.

მსჯელობისათვის ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციისთვის, იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა დადასტურებული საპროცესო დარღვევა, შეფასება განხორციელდეს იმ კუთხითაც, თუ რამდენად შეეძლო ქმედებას შედეგად გამოეწვია მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების შელახვა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე, 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში, აღნიშნავს, რომ ქმედების დისციპლინურ გადაცდომად კვალიფიკაციისთვის „დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშვებული შეცდომის ხარისხს. თუ მოსამართლის მიერ დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო შეცდომა, რომელსაც არ მოჰყოლია მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა და არც რაიმე უარყოფითი შედეგი მიღებულა, მაშინ მცირე დარღვევის გამო, ქმედება მიიჩნევა სამართლებრივ შეცდომად, თუმცა შესაძლებელია მოსამართლემ ისეთი შეცდომა დაუშვას, რომელსაც შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევა მოჰყვეს. საჯარო წესრიგის კონცეფცია გამოხატავს სახელმწიფოს ძირითად და ფუნდამენტურ სამართლებრივ (მათ შორის მორალურ) პრინციპებს და მისი დარღვევით ილახება არა მარტო კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებები, არამედ იმავდროულად იგი ვნებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესს, შესაბამისად, თუ დაშვებულია ისეთი შეცდომა, რამაც გამოიწვია საჯარო წესრიგის დარღვევა, მაშინ მოსამართლის მიერ დაშვებულ შეცდომას შეიძლება მიენიჭოს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია.“

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს ფრაზას „სასამართლო ნამდვილად არ აპირებს 1700 ადამიანის დაკითხვას“ მოსდევს განმარტება, „ამაზე გადაწყვეტილებას მხარეები მიიღებენ გონივრულს“. ამასთან, დაცვის მხარის შეკითხვის შემდეგ, სასამართლო აზუსტებს „ბატონო ადვოკატო, სასამართლოს განცხადება გაიგეთ სწორად, სასამართლო არ წყვეტს, მაგრამ თქვენ გადაწყვეტთ გონივრულად“.

იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ქმედების დისციპლინური კვალიფიკაციისათვის, საპროცესო წესის დარღვევასთან ერთად, კუმულაციურად რელევანტურია დამდგარი შედეგები, უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებათა მთლიანობაში, ნათქვამის კონტექსტში შეფასების შედეგად, სადავო ქმედება არ იწვევს მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო შედეგს. შესაბამისად, მიუხედავად

საპროცესო წესის დარღვევისა, სასამართლოს ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.2. საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დაკავებულ, დაპატიმრებულ ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებულ პირს ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი, ან მის კმაყოფაზეა სხვა პირი, რომელიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩება, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას, ხოლო თუ პირს უზედამხედველოდ რჩება ქონება, – განახორციელონ მისი დაცვის ღონისძიება.

საქმეზე წარმოდგენილ დისციპლინურ საჩივარში, მომჩივანი განმარტავს, რომ სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლის მოთხოვნა. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე წარდგენილი იყო ბრალდებულის მცირეწლოვანი (7 თვის; 2-3 წლის) შვილების დაბადების მოწმობები და ასევე, სასამართლო სხდომებზეც, დაცვის მხარემ არაერთხელ სთხოვა სასამართლოს ეზრუნა განაჩენის გამოტანის შემდგომ მათზე, სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა. შედეგად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ვინაიდან მათ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, უმეთვალყურეოდ დარჩა მცირეწლოვანი ბავშვები. მომჩივნის განმარტებით, სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა დაცვის მხარის თხოვნა, მიეღო შესაბამისი საპროცესო ღონისძიებები უპატრონოდ დარჩენილი მათი მრავალმილიონიანი ქონების დასაცავად.

საქმის გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ საქმეში წარმოდგენილია ბრალდებულთა მცირეწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები და ბრალდებულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერები, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაცვის მხარეს სასამართლოსათვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, მცირეწლოვანი ბავშვების/უძრავის ქონების უმეთვალყურეოდ დარჩენის თაობაზე. შესაბამისად, გამოირიცხება სასამართლოს ვალდებულება, ასეთი ინფორმაციის არარსებობის პირობებში, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე ეხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 178-ე მუხლით და გაეტარებინა შესაბამისი საპროცესო ღონისძიებები.

შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შესაძლო გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

3.3. მომჩივნის განმარტებით, 2017 წლის 31 ივლისის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარეს სურდა შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის, მოსამართლის აცილების თაობაზე, რისი შესაძლებლობაც, მათ მოსამართლემ არ მისცა.

2017 წლის 31 ივლისის სასამართლო სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერის თანახმად, სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მხარეთა რეპლიკები და ბრალდებულთა საბოლოო სიტყვა. აღსანიშნავია, რომ რეპლიკის ეტაპზე, სასამართლომ ბრალდებულ -- -- მოუწოდა მხოლოდ იმ კუთხით, რომ არ განმეორებულიყო და ესაუბრა მხოლოდ ისეთ გარემოებებზე, რაც მას დასკვნით სიტყვაში არ უთქვამს. სხვა კუთხით, ბრალდებული მოსაზრებების წარმოდგენის პროცესში შეზღუდული არ ყოფილა. სხდომის ოქმის აუდიოჩანაწერის თანახმად, ასევე არ დგინდება ის გარემოება, რომ ბრალდებულ -- -- სურვილი ჰქონდა სასამართლოსათვის მიემართა შუამდგომლობით, მოსამართლის აცილების თაობაზე, ამის შესახებ განაცხადა სხდომაზე და სასამართლომ მას აღნიშნულის შესაძლებლობა არ მისცა.

შესაბამისად მომჩივნის მიერ მითითებული გარემოება, რაც შესაძლოა შემდგომში მოსამართლის მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევად შეფასებულიყო, არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭოს 9 წევრმა მიიჩნია, რომ არსებობდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც, მიზანშეწონილად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევა დასკვნაში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოთხმა წევრმა კი, ჩათვალა რომ მოსამართლის მხრიდან არ იკვეთებოდა დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, შესაბამისად, მხარი დაუჭირა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი, რომელიც დისციპლინურ საქმეს დაერთვება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^8 მუხლის პირველი ნაწილითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №07/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი